ისევ მდევრის როლში

ოდესა. ცენტრალური სტადიონი. 24 სექტემბერი.

“ჩერნომორეცი” (ოდესა) – “დინამო” (თბილისი) – 2:1 (1:1).

“ჩერნომორეცი”: დეგტიარევი, კუზმინი, ლეშჩუკი, ლოგვინენკო (კაჩური), პლოსკინა, ფეიდმანი, სოკოლოვსკი, უსტიმჩიკი (ნაპრეევი), შევჩენკო, პოგორელოვი, საპოჟნიკოვი.

“დინამო”: გოგია, კოსტავა, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, გ. მაჩაიძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, დარასელია, შენგელია (ჩელებაძე).

გოლები გაიტანეს გუცაევმა, შევჩენკომ და პოგორელოვმა.

მსაჯი: ვ. შკლოვსკი (მოსკოვი).

დუბლიორები – 0:0.

როცა ჩემპიონატის დამთავრებამდე თითზე ჩამოსათვლელი მატჩები რჩება, მეორეხარისხოვანი თუ გადამწყვეტი შეხვედრები აღარ არსებობს – ყველა მათგანი პრინციპულია. მით უფრო, თუ კოლექტივს სავსებით გარკვეული გეგმები და მიზნები აქვს. ვითარებას ვერც “ჩერნომორეცის” აუტსაიდერობა ცვლის – ამ “სუსტად” მონათლული გუნდის მწარე “ნაკბენი” (3:3 თბილისის მატჩში) ჯერ კიდევ კარგად გვახსოვს.

24 სექტემბრის ორთაბრძოლამ ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, რომ თბილისელებმა ყოველივე ეს მხოლოდ პირველ ტაიმში გაითვალისწინეს. “დინამო” მშვიდად, ენერგიულად თამაშობდა. მასპინძლებს გოგიას კარის მოსინჯვის (ისიც საკმაოდ უხეირო) შესაძლებლობა მხოლოდ მეოცე წუთისთვის მიეცათ. სულ რაღაც ერთი წუთის შემდეგ კი გუცაევი მოხერხებულად დაუსხლტა ორ მცველს, დარტყმაც ზუსტი გამოდგა – 1:0. არც საპასუხო გოლამდე (38 წ.) და არც მერე “ჩერნომორეცს” რაიმე სერიოზული უპირატესობა არ ჰქონია – ისევ მშვიდად მოქმედებს თბილისელთა დაცვა, საიმედოდაა გადაკეტილი ცენტრიც. თუმცა ვერც დინამოელთა თავდასხმა იჩენს ფხას (ლოგვინენკომ და სოკოლოვსკიმ პერსონალურად “აიყვანეს” გუცაევი და შენგელია).

თამაში განახლდა. ათი წუთი ისევ ძველი, პირველი ნახევრის სიუჟეტით ვითარდება, არც “დინამოსა” და არც “ჩერნომორეცს” აგრესიულობის კვალიც არ ეტყობათ. მეტიც, ამ მონაკვეთში ოდესელთა თავდასხმის შტატი ერთი ფეხბურთელით შემცირდა კიდეც (პოგორელოვმა, შევჩენკოსთან ერთად რომ თამაშობდა, რატომღაც მინდვრის ცენტრისკენ დაწევა ამჯობინა).

ეს იყო და ეს. ამის შემდეგ დაიწყო შეცდომების სერია, მატჩს ბოლო წუთებამდე რომ გაჰყვა. დაუსჯელად ერთვება შეტევებში ოდესელთა “ორიანი” კუზმინი, ისევ გააქტიურდა პოგორელოვი. თბილისელთა დაცვის მიუტევებელმა შეცდომებმაც კიდევ უფრო წააქეზა “’ჩერნომორეცი” და არაფერი გასაკვირი არ არის იმაში, რომ მესამოცე წუთზე “დინამოს” კარში მეორე ბურთი გავიდა.

უკანასკნელი ნახევარი საათი ძნელად წააგავდა უმაღლესი ლიგის გუნდების ორთაბრძოლას – როგორც ერთ, ისე მეორე კართან ქაოტურად იქმნებოდა საგოლე მომენტები. ამ წუთებში ოდესელთა მოკავშირე მხოლოდ მონდომებაა, თბილისელთა ოსტატობას კი მეტისმეტი აჩქარების დაღი ადევს.

შკლოვსკის სასტვენის ხმამ წერტილი დაუსვა “დინამოს” უნაყოფო შეტევებს.

თქმა არ უნდა, დაიკარგა მეტად საჭირო ორი ქულა, მაგრამ მთავარი მაინც სხვაა – ძალიან გვინდა, რომ ბოლო ორ მატჩში ჩვენი გუნდის თამაშში წარმოჩენილი ხარვეზები უფრო სერიოზული ავადმყოფობის სიმპტომები არ გამოდგეს. თუმცა არც ბევრი ლოდინია საჭირო – პასუხს ხვალინდელი შეხვედრა გაგვცემს.

ი. ბერიაშვილი (ჩვენი სპეც. კორ.).
“ლელო”, 27 სექტემბერი, 1977 წ.